ლხინი ალაზნის ჭალაში

დღეს საქართველო ილტვის ზეცისკენ,

მცირეღა შეგვრჩა რადგანაც მიწა...

შეხედე ჭადარს, _

არის ეს ის ხე,

რომლის ჩეროში ერეკლე იჯდა.

შუაზე აპობს მდინარე სიცხეს.

თავგანწირული ირგვლივ არი სმა.

მოწყენილია თელავის ციხე, _

ვერ იასპინძა რადგან კრწანისმა.

გახურდა ლხინი:

შეეწნა ხმა ხმას,

ხმა გაიმეტა ცის ლურჯმა თაღმაც _

და როცა ეშხში შევიდნენ უკვე,

მამაპაპურმა სიმღერამ მსუყემ _

იალაზანა,

იალაზანა, _

ორმაგი მისცა ალაზანს ძალა

და გადმოლახა ნაპირნი წყალმა.

ქვითინებს მუხა, _ ალაზანს გაღმა,

ილიას თვალწინ რომელიც გახმა...

კახურით გულის ხშირდება ძგერა,

პირზე ღიმილი ახმება გელათს,

თვალები ცრემლით ევსება ხახმატს:

ვერ იდავითა პატარა კახმა!

ვერ იდავითა პატარა კახმა!